№ 105
მაისის 21, სამშაბათი, 1902 წ.
1877

# ივერია

1902
№ 105
მაისის 21, სამშაბათი, 1902 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**მაისის 16-დგან „ივერიის“ რედაქცია გადმოვიდა სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, გალერეი: №№ 117 და 118, თ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბის გვერდით.** (10—4)

**პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი**

## „ივერია“

ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში**—,,ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში**—შველიძეების წიგნის მაღაზიაში და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში**—მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.

**ბაქოში**—ხიდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

**ხონში**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ზუგდიდში**—ბარონ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისის გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულ წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

1902 წ., მაისის 26 დღეს,

**სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში გაიმართება**

## სეირნობა სამღლო ბაზრითა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად. ბაზრობა იქნება ნაშუადღევის 3 საათიდგან საღამოს ათ საათამდე. იქნება ცეკვა, საყმაწვილო გასართობი და სურპრიზები.

ბაღში დაუკრავს მუსიკა ორ გუნდად და ზურნა. შემოწირულება უნდა გაეგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას (ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 21).

---

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ამა **მაისის 25 დღეს**, შაბათს, საღამოს **შვიდ საათზედ**, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

## საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. წლიური (პროტოკოლებს გარდა) ანგარიში საზოგადოების 1901 წ. მოქმედებისა.
2. სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის.
3. კერძო მოხსენებანი (პროტოკოლის შედგენის შესახებს გარდა).
4. არჩევანი მაგიერ გამგეობის ორის წევრისა ბ. ი. გომართელისა და ა. სარაჯიშვილისა, აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრის ბ. ნ. გოგიტიძისა, რომელთაც წევრობას თავი დაანებეს.
5. არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

(3—1)

---

**მაისის დამლევს დაიწყობა**

## არტისტიული მოგზაურობა

ტფილისის ქართულ დრამატიულ დასისა

**ვალერიან გუნიას გამგეობით**

მსახიობნი ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი, ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, ბეგლარიძე, ყალამბეგაშვილი და სხვანი.

**დროგამოშვებით მოწვეული იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

დასი თითო ან ორ-ორ წარმოდგენას გამართავს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, აბაშა-სენაკში, სამტრედიაში, ყვირილაში, ჭიათურაში, დუშეთში, კავკავში, ბაქოში, ალექსანდრეპოლში, განჯაში და ყარსში.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომი იქნება, პიესები ახალი და მოწონებული საზოგადოების-მიერ წრევანდელ სეზონში. პირველი წარმოდგენა დაიწყება ქუთაისიდან.

რეჟისორი და გამგებელი ვალ. გუნია.

---

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**კ. ი. ბძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница д-ра Н а в а с а р д і а н ц а. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჰიჰინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ე. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

---

## შემოწირულება

,,წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ბ-ნმა ჟირარდმა—სამი პირსახოცი, 12 წყვილი წინდა, 2 ხილის სალფეტკი, ორი მარაო და ერთი პორტმანი; ბ-ნმა ბოზარჯიანცმა—20 კოლოფი თითო შაურიანი და სამ შაურიანი პაპიროსები.

---

# ტფილისი

— ბაზრობა და სეირნობა ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ კვირას, 26 მაისს, მოხდება თავად-აზნაურთა ქარვასლის ბაღში (სასახლის ქუჩა).

— შაბათს, 25 მაისს, ტფილისის სათავადაზნაური ბანკში, საღამოს შვიდ საათზედ დანიშნულია კრება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა იმ საგნების განსახილველად, რომლების განხილვაც ვერ მოასწრეს გუშინ-წინ, 19 მაისს.

— როგორც შევიტყეთ, 16 მაისს გამართულ კონცერტსა და სეირნობიდგან დრამატიულ საზოგადოებას ხარჯის გასტუმრების შემდეგ 1300 მანეთზედ მეტი დარჩენია.

— ამ ჟამად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გოგირდი შემოაკლდა, მუშტარი-კი ყოველ დღე დიდ-ძალი აწყდება. საზოგადოებამ საფრანგეთიდგან გამოიწერა სამი ვაგონი გოგირდი და დღეს, იმედი აქვს, მიიღებს. ფასი ისევ წინანდელი იქნება.

— რკინის გზის უფროს ივანოვსკისაგან და რკინის გზის ორ სხვა მოხელისაგან შესდგა კომისია, რომელსაც აზრადა აქვს შეადგინოს ანგარიში იმისა, თუ რამდენი დაიხარჯება ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურების გადასაკეთებლად და ახალის სადგურების ასაშენებლად. ამ აზრით კომისიამ უკვე მოიარა ბაქო და ქუთაისი და ახლა მიემგზავრება ყარსში.

— კვირას, 26 მაისს, დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია კრება მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა გაარჩიოს ის საგნები, რომლებიც წინანდელს, 19 მაისის, კრებაზე ვერ მოასწრო.

— ახალ დაარსებულ ქალაქის ხორცის დუქანში პირველ სამ დღეს 1000 მანეთის ხორცი გაუყიდნიათ.

—

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიური კრება.** გუშინ-წინ, 19 მაისს, მოხდა წლიური კრება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გამგეობის თავმჯდომარის თავად ი. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით.

პირველად გამგეობის საქმის მწარმოებელმა პ. მირიანაშვილმა წაუკითხა კრებას წარსულ წლის კრებების ოქმები. ბაასი ასტყდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იწერებოდეს საზოგადოების კრებების ოქმები. პ. სურგულაძემ ითხოვა, ოქმში აღნიშნული იყოს მხოლოდ ის, რაც ილაპარაკეს და რა დაადგინეს კრებაზედ. კრებამ გადასწყვიტა, კრების დადგენილება ცალკე იწერებოდეს მოკლედ, ხოლო კერძო პირების აზრები-კი შეტანილი იყვეს ცალკე ჟურნალში. ვინც მოისურვებს თავის აზრის ვრცლად შეტანას ოქმში, იმას შეუძლიან დასწეროს თვითონვე ცალკე ქაღალდზედ თავისი სიტყვა და წარუდგინოს საზოგადოების მდივანს დანიშნულ დრომდე, რომელიც ამ სიტყვას ჟურნალში ჩააკერებს.

ამის შემდეგ, კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ. სარევიზიო კომისიამ ანგარიში და ბალანსი სწორედ შედგენილად სცნო და თანხმად იმ დავთრებისა, რომელსაც გამგეობა აწარმოებს. კომისიის აზრით გამგეობას სწორედ აქვს ნაანგარიშევი საზოგადოების ნაღდი ფული და სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც უკლებლივ ინახება ბანკში. ამასთანავე სარევიზიო კომისიამ კრების ყურადღება მიაქცია ზოგიერთ შენიშვნებს, რომლებიც მუხლებად წაკითხულ იქმნა.

სარევიზიო კომისია ამბობს: საანგარიშო (1901) ხაზინადრად გამგეობის წევრი ბ-ნი ჯორჯაძე ყოფილა, მდივნად—ბ-ნი სარაჯიშვილი. სარევიზიო კომისიამ დაინახა გამგეობის საქმეებიდგან, რომ ხაზინადრისა და მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა გამგეობის საქმის მწარმოებელი ბ-ნი მირიანაშვილი. სარევიზიო კომისიის აზრით შეიძლება გამგეობას ასეთი ფიქტიური თანამდებობის ამსრულებულნი არ ჰყავდეს.

ბევრის ლაპარაკის შემდეგ კრებამ დაადგინა ეს საქმე ძველებურად დარჩეს.

სარევიზიო კომისიის მოხსენებით ა) ანგარიშში ნათლად არა სჩანს, საანგარიშო წელს რა მდგომარეობაში იყო სწავლა-აღზრდის საქმე საზოგადოების სკოლებში. წინა წლებში გამგეობის რომელიმე წევრი წელიწადში ერთხელ მაინც დაათვალიერებდა საზოგადოების სკოლას, წარსულს წელს-კი, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა, კავკავისა და გომარეთის სკოლები გამგეობის არც ერთ წევრს არ დაუთვალიერებია. დანარჩენი სკოლები გამგეობის წევრთ თუმცა დაუთვალიერებიათ, მაგრამ ამაზედ არავითარი ცნობები არ არის ანგარიშში; ბ) თონეთის სკოლის სარევიზიოთ 21 მანეთი დახარჯულა, მაშინ როდესაც წინარეხის სკოლის სარევიზიოდ კი მხოლოდ 9 მანეთი. ასეთი შესამჩნევი ხარჯების სხვა-და-სხვაობა კომისიას გამგეობამ განუმარტა მით, რომ თონეთში რევიზორი ორჯელ იყოო, თუმცა ანგარიშში მხოლოდ ერთი რევიზიის შესახებაა ცნობა მოყვანილი; გ) წარსულს წელს გამგეობამ დაადგინა გამგეობის საქმეთა მწარმოებლისათვის ჯამაგირი მოემატებინა და სკოლების რევიზიაც დაევალებინა, მაგრამ გამგეობამ ეს აქამდე არ აასრულა. თუ ეს მოხდა ხელ-მოკლეობის გამო, მაშინ საჭიროა მეტი ენერგია გამოიჩინონ თვით გამგეობის წევრებმა; დ) ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ სკოლის მართვა-გამგეობაში, მაგრამ ამ კომიტეტში არც ერთი სწავლა-აღზრდის სპეციალურად მცოდნე არ არის. საჭიროა კომიტეტში ორი-სამი პედაგოგი-სპეციალისტი იყვეს.

გამგეობის სიტყვით, ხელ-მოკლეობის გამო შეუძლებელი გახდა ყველა სკოლების დათვალიერება.

ბ-ნ წულუკიძის აზრით ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება და სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, რაიმე საღსარი უნდა გამოვნახოთ და ყოველ წლივ სკოლების დასათვალიერებლად კაცი უნდა დავიქირაოთ.

თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე უპასუხებს, ვეცდებით ყოველ წლივ მოვახერხოთ სკოლების დათვალიერებაო.

(დასასრული ხვალ)

—

**მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა დამხმარებელ საზოგადოების კრება.** გუშინ-წინ, 19 მაისს, დედათა პირველ გიმნაზიის შენობაში საგანგებო კრება მოხდა ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წევრთა.

კრებას მოეხსენდა: ამ ჟამად ჩვენის საზოგადოების სკოლა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ნივთიერად, მასწავლებელნი ქალნი ყველანი უფასოდ შრომობენ, მაგრამ ყოველ თვე 35 მან. მეტი ეხარჯება სკოლას, ვიდრე შემოსავალი აქვსო. თვით სასწავლებელმაც თავის დანიშნულებას გადაუხვია. მისი დანიშნულება, როცა ვაარსებდით, უნდა ყოფილიყო, რომ მიგვეღო ღარიბის შვილნი; სკოლით-კი მხოლოდ მდიდრები სარგებლობენ დღეს. ამიტომ სკოლა ან უნდა დავკეტოთ, ან ღონისძიება გამოვძებნოთ მის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და იმ აზრის განსახორციელებლად, რა აზრითაც დავაარსეთო.

ქ-ნმა ლოიკომ ურჩია კრებას, კარგი იქნება მოვუწოდოთ მამაკაცებსაც და ვთხოვოთ დაგვეხმარონ და შეგვაძლებინონ სკოლის ნივთიერ მდგომარეობის განკარგებაო. ვთხოვოთ სოფლის მასწავლებელთაც დაგვეხმარონ ამ კეთილ საქმეშიო. მე მგონია, თუ ყველანი არა, ⅔ მესამედი სოფლის მასწავლებლებისა უთუოდ ჩაეწერება ჩვენს საზოგადოებაში წევრად. მივწეროთ კიდეც 70 მასწავლებელს და თითქმის ყველამ თანაგრძნობა გამოგვიცხადაო.

ერთმა-ორმა ლოიკოს შეჰნიშნა, მამა-კაცების მოწვევა ის იქნება, რომ ისინი გაბატონდებიან ჩვენს საზოგადოებაშიო. ლოიკომ უპასუხა, ჩვენ ნუ გავაბატონებთო. მოვიდნენ და საქმეს უშველონ, სკოლას გაუმაგრონ ზურგი, იქ მათი ძმები სწავლობენ. საკუთრად ჩვენთვის ხომ არა ვთხოვთ დახმარებასაო.

კრებამ სკოლის მდგომარეობის შესასწავლად და მის საქმეთა გასაუმჯობესებელ საშუალების გამოსაძებნად კომისია ამოირჩია.

სარევიზიო კომისიის წევრებად ისევ წინანდელები დასტოვა.

საქმის მწარმოებლად ამორჩეულ იქმნა ქ-ნი პაშჩენკო.

კრებამ ყველა საქმის განხილვა ვერ მოასწრო და დაიშალა ღამის 11 საათზე.

---

## საქართველოს ამბები

როგორც გვატყობინებენ, წელს ქუთაისის გუბერნიაში, ზოგიერთ ადგილების გარდა, მოსავალს საერთოდ ცუდი პირი უჩანს. ქარებმა დიდი ვნება მოუტანესო. მოუსავლობას ისიც დაერთო, რომ მეაბრეშუმეობა თან და თან ეცემა. ამის უმთავრესი მიზეზი-კი აბრეშუმის თესლის უვარგისობაა. უცხოელნი, რომელნიც აბრეშუმის თესლსა ჰყიდიან, სრულიად არა ფიქრობენ სიკარგეზედ. უმეტეს შემთხვევაში ნაყიდ თესლიდგან ნახევარი უვარგისია ხოლმე. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, რადგანაც მარტო ოთხის მაზრის—ქუთაისისა, ზუგდიდისა, სენაკისა და ოზურგეთის მცხოვრებნი ყოველ წელს 1½ მილიონ მანეთის პარკსა ჰყიდიან.

მთავრობას გადაუწყვეტია ნატანებ-ოზურგეთ-საჯევახოს გზის შეკეთება. ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას უკვე აღუძრავს შუამდგომლობა ამ საქმისათვის საჭირო ფულის გადადების შესახებ.

—

ფიქრობენ, მცხეთაში, სამთავრის მონასტერთან არსებულ დედათა სასწავლებლის მეორე კლასიან სამრევლო-საეკკლესიო სკოლად გადაკეთებას. სკოლასთან სამასწავლებლო კურსებიც იქნება.

—

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია კახეთში მდინარე თურდოს ნაპირების შემაგრება. ეს მდინარე ადიდების დროს მეტად დიდ ზიანს აყენებს მცხოვრებთ. ამას გარდა, სამინისტროს გადაუწყვეტია ხრამების

ამოვსება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-148 ვერსზედ, ტფილისსა და ბათუმს შუა და სამხედრო-საქართველოს გზაზედ ანანურსა და ფასანაურს შუა.

—

როგორც შევიტყეთ, გურიაში, სოფელ ჩიბათში, სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველო დაუარსებიათ.

—

სოფელ საგარეჯოს სცენის მოყვარენი უკვე შეუდგნენ საზაფხულო სახალხო წარმოდგენების მზადებას. ამ დღეებში ქართულ დრამატიულ საზოგადოებას მიჰმართეს ახალ პიესებისათვის. პირველ წარმოდგენის გამართვას სცენის მოყვარენი აპირებენ საპეტრე-პავლოდ.

—

როგორც „ახ. მიმ.“-ს ატყობინებენ, სოჭის მახლობლად სომეხთა სოფელს ლოში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ მოუკლავთ სომეხთა მღვდელი ნიკოლოს პეტროსიანი. ჩაჰსაფრებიან და ისე უსროლიათ მღვდლისათვის.

—

**ქუთაისი.** აქ ერთ ახალგაზდას (ბ-ნ ლომთათიძეს) გადაუთარგმნია შემდეგი ორი წიგნი: „მტერი ერისა“ (Докторъ Штокманъ) იბსენისა და რომანი „Одинъ въ полѣ не воинъ“—შპილგაგენისა. პირველი თარგმანი უკვე მზად აქვს მთარგმნელს დასაბეჭდათ, მეორე-კი ჯერ არ დაუსრულებია.

—

**ქუთაისის** ჩვენებური ქუთათური საქმეები რომ ისეთის სისწრაფით კეთდებოდეს, როგორითაც იწყება ხოლმე, მაშინ იმერეთის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ქუთაისი ყოვლად განწესრიგებული ქალაქი იქნებოდა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ქუთათური საქმიანობა სხვათა საქმიანობას არა ჰგავს. ამ ბედისწერას ვერ ასცდა ვერც ინჟინერ მიხაილოვის მიერ დაწყებული მილის წყალის საქმე. აგერ მესამე წელიწადია „ქალაქის მამები“ ამ საქმეს გარს უტრიალებენ, მეორე წელიწადია იგი ჩაიბარეს გაჩვენებურებულ ინჟინერ მიხაილოვს, რომელმაც ამ საქმის ნივთიერად უზრუნველყოფისათვის ამხანაგობაც კი შეადგინა, მაგრამ საქმის დაწყებას არა ეშველა-რა. ათ თვეზე მეტია, რაც ინჟინერი მიხაილოვი ხელშეკრულობის მეორე მუხლის გამო ედავება ქალაქის წარმომადგენლებს და საქმე ვერ მოაგვარეს. ეს მუხლი-კი აი, რას ამბობს: „Вода для снабженія должна быть взята изъ р. Ріона, на правомъ берегу его, выше г. Кутаиса, между второй и третьей верстами, считая это разстояніе отъ Цѣпнаго моста по шоссе“.

კონტრაგენტს მაინცა და მაინც ჰსურს ეს ხაზგასმული სიტყვები მისდა სასარგებლოდ გაიგოს ყველამ, ე. ი. მას უნდა წყლის ამოსაყვანი სათავე მეორე ვერსის გასათავარში ამ დესამის ერთის საჟენის დასაწყისში გაჰმართოს და მით მეტი ხარჯები აიცილოს. ამ საკითხის გადაწყვეტას მოანდომეს საბჭოს რამდენიმე კრება, ექიმების და ვექილებისაგან შემდგარი კომისიაც მუშაობდა, რომელმაც ადგილობრივ შეამოწმა მიხაილოვის მიერ მეორე ვერსზე ამორჩეული ადგილი და ქალაქის ნაჩვენები მესამე ვერსის გასათავარში. ამ კომისიამ მიიღო სახეში ინტერესები ქალაქის მკვიდრთა, რომელთაც მიხაილოვმა სუფთა წყალი უნდა აძლიოს, და დაადგინა წყლის წამოყვანა მესამე ვერსის გასათავარიდგან.

ქალაქისა და საგუბერნიო საკრებულოს მიერ დამტკიცებული დადგენილება ზოგიერთმა ხმოსანმა და მათთან, რასაკვირველია მიხაილოვმაც კიდევ გაასაჩივრეს: ამ კომისიაში მცოდნე კაცთ არ მიუღიათ მონაწილეობა და ამისათვის ახალი კომისია ამოვირჩიოთო. სიმტკიცეს მოკლებული საბჭო ამაზედაც დასთანხმდა, ამოირჩიეს გარეშეები და მათ შორის საგუბერნიო ექიმები (ჩინოვნიკები, რომლებმაც თავაზიანობა გასწიეს) და, როგორც განაცხადა ქალაქის თავმა კრებაზე, არც ერთ კრებას არ დაესწრნენ. ალბად, მეტად დაინახეს თავიანთ კოლეგების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ განმესამებულმა კომისიამაც წინანდელი აზრი დაადასტურა და გადაუწყვიტეს მიხაილოვს მესამე ვერსის გასათავარში დაიწყოს წყალის ამოყვანა. ახლა, რადგან ვადაც მიდის, უეჭველია, მიხაილოვი „ქალაქის მამების“ ამ გვარ გადაწყვეტილებას დაემორჩილება და შეუდგება მუშაობას,—თუმცა სასამართლოში გასაჩივრების უფლება მაინც დაიტოვა.

ინჟინერი მიხაილოვი ქუთათურებს მეორე კაი საქმის გამოწყობასაც შეჰპირებია. ეს არის ტრამვაი, ელექტროის „კონკა“, რომლის პროექტი უკვე წარუდგენია მთავრობისათვის დასამტკიცებლად. მთავრობის ორს დაწესებულებას: ფოსტა-ტელეგრაფის დეპარტამენტს და ტეხნიკურ-საალმშენებლო კომისიას თავიანთი შენიშვნები მიუციათ ამ პროექტისათვის და უკან დაუბრუნებიათ. პირველს 6 შენიშვნა მიუცია შემდგენელისათვის და მეორეს—ცხრა. პეტერბურგის საალმშენებლო კომისიას, სხვათა შორის, მიხაილოვის პროექტის ნაკლი იმაში დაუნახავს, რომ მას არაფერი არა აქვს ნათქვამი ქუთაისის ხიდები გაუძლებს თუ არა კონკის სიმძიმესაო. ამ ხიდების სიმაგრე-სისუსტეზე მიხაილოვს არაფერი ჰქონდა ნათქვამი არც მილის წყალის პროექტში, რაც ადგილობრივმა ინჟინერმა შულცმაც შეჰნიშნა. ხიდების სიმაგრის გამოკლევა-კი ამ ორივე საქმისათვის ძალიან საჭიროა, რადგან მოსალოდნელია, როგორც ძველის სისტემის მოძველებული ხიდები, მილებისა და კონკის სიმძიმემ დააზიანოს.

„კონკის“ შესწორებული პროექტი მიხაილოვმა სამის თვის თავზე უნდა წარუდგინოს ქალაქს დასამტკიცებლად. ამგვარად, თუ მოვესწარით, მიხაილოვი წყალსაც გვპირდება და „კონკით“ სეირნობასაც.

კავკასიის სამკურნალო საიმპერატორო საზოგადოებას კეთილი განზრახვა მოსვლია ფიქრად: ხალხში სამკურნალო მეცნიერების ფართოდ გავრცელება. ამ აზრით, რამდენადაც გვახსოვს, მან ადგილობრივ გაზეთებს მიჰმართა ადგილი დაეთმოთ თავიანთ ფურცლებზედ ექიმების პოპულიარულ ნაწერებისათვის. ამ საზოგადოების წევრთა ორიოდე წერილი წარსულ წლის „კვალში“ დაისტამბა. ერთი წერილი კიდევ —თქვენს გაზეთში, ეს იყო და ეს. მას აქეთ ჩვენ მათი ნამოღვაწევი არა გვინახავს-რა ხალხში სამკურნალო ცოდნის გასავრცელებლად. დღეს ამ საშუალებისათვის, არ ვიცით-კი რად, თავი დაუნებებიათ და ადგილობრივ ენებზედ (ქართულსა, სომხურსა და თათრულზედ) წიგნაკების გამომცემლებისათვის მიუმართავთ. მართალი რომ ვსთქვათ, ესაც კარგი საშუალებაა, თუ-კი სისტემატიური ხასიათი ექმნება.

მაგრამ ეტყობა, ეს სახალხო საქმისათვის მზრუნველი საზოგადოება ნივთიერად ზურგმაგარი ვერ ყოფილა. ამისათვის გადაუწყვეტია კავკასიის ქალაქების თვით-მმართველობას მიჰმართოს დახმარებისათვის. ამგვარის დათხოვნით მას ქუთაისისათვისაც მიუმართნია და გამგეობა 13 მაისის კრებაზედ საბჭოს მოახსენა ეს მოწოდება. საბჭომაც, თუმცა თავის ფხანით, მაგრამ მაინც მიიღო ტფილელ „საზოგადოების“ მოწოდება და გადასდო ამ საჭირო საქმისათვის 100 მან., მხოლოდ ამ წელში ხელმოკლედ ვართ და საგაისო ხარჯთ-აღრიცხვაში შევიტანოთ ეგ სუბსიდიაო.

ჩვენის აზრით, ძალიან საჭიროა კავკასიის ქალაქებმა თავიანთ მკვიდრთათვის ამ მეტად საჭირო საქმეს ყურადღება მიაქციონ, ისარგებლონ სამკურნალო საზოგადოების მოწოდებით და დაეხმარნენ ხალხისათვის გასაგებ სამკურნალო-სამეცნიერო წიგნების გამოცემა-გავრცელების საქმეს. ამ დახმარებით ისინი ერთ თავიანთ დანიშნულებას—ქალაქების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს გაადვილებენ. მხოლოდ აქ ას მანათიანი სუბსიდიები არ კმარა. დღევანდელ გაყამირებულ წიგნაკს ჩვენში სამეცნიერო წიგნაკების გამომცემლობისას ამისთანა ფულით ბევრი არა ეშველება-რა. ამავე აზრით იბადება დღეს ტფილისში „ქართველ ექიმთა საზოგადოება“ და, უნდა ვიფიქროთ, რომ საერთო ძალით მტკიცე საფუძველი ჩაეყრება სახალხოდ სამკურნალო მეცნიერების გამდაბიურებას...

ქუთაისში უკვე ჩამოვიდა და სამსახურის აღსრულებას შეუდგა ბაქოში ნამყოფი ინჟენერი დ. ჯორჯაძე, რომელიც ქალაქის ინჟენერ-არხიტექტორად არის მოწვეული. დღემდე ქალაქს ცალკე არხიტექტორი არ ჰყოლია, რაც ძალიან ამჩნევია იმის ქუჩების და სახლების უწეს-რიგობას. ქუჩები მრუდე, დაღრო-ჩაღროებულია, წვიმიან ამინდებში გაუვალ ტალახებიანი, დარებში-კი მუდამ სახარის უდაბნოსებურ მტვრიანი; ტროტუარები დამტვრეულ-დამსხვრეული და კისერსატეხი, უსწორ-მასწორი, ალაგ თითო არშინზედ ამაღლებული, ალაგ ჩაღრმავებული, ალაგ რიყის ქვით მოკირწლული, ალაგ-ალაგ უქვაფენილო, ფართო, ალაგ ვიწრო და ყველგან-კი უშნო-ულამაზო. სახლები უგეგმოდ ნაშენები, სრულიად არხიტექტურულ სილამაზესა და შნოიანობას მოკლებული და მრავალი სხვა სატეხნიკო-არხიტექტურული საქმეები სრულიად მივიწყებას მიცემული. ყოველ ამის განწესრიგება მოითხოვს მცოდნე და გამრჯელ კაცის ხელს და ვნახოთ როგორი მოსაქმე და თავის გამრთმევი გამოდგება ბაქოელი ინჟენერ-არხიტექტორი ბ-ნი დ. ჯორჯაძე.

ისო.

—

**ფოთი.** აგერ ორ წელზე მეტია, რაც აქაური „პრიკაშჩიკები“ ცდილობენ კვირა-უქმე დღეებში თავისუფლება ჰქონდეთ, მაგრამ, მათ და საუბედუროდ, აქაური ხმოსნები უმეტეს ნაწილად ვაჭრები არიან და, რასაკვირველია, ზოგიერთ მათგანს არ ეპიტნავება ნოქრების თავისუფლება. იტანჯებიან საწყლები დილის ხუთ საათიდგან ღამის თორმეტ საათამდე, არამც თუ საქმე დღეში, არამედ უქმე დღესაც-კი. დღემდის მათთვის არავითარი ყურადღება არვის მიუქცევია, მაგრამ იმედია იმათაც ეშველებათ, ახალი არჩევნები დაიწყება, ახალ ხმოსნებში გამოჩნდება ვინმე მადლიანი და ნოქრების სურვილს ყურადღებას მიაქცევს.

—

**სამეგრელო.** საზოგადოდ წრევანდელი წელიწადი მეგრელ მეურნეთათვის ვერაფერი სანუგეშოა. გაზაფხული, ეს ხვნა-თესვის დრო, —მუშა-კაცს ღვთის რისხვად გარდაექცა, მთელმა აპრილმა ისე განვლო, რომ ერთი დღიური მიწა არ შეუმუშავებიათ, რადგანაც განუწყვეტლივ სწვიმდა. სიხარულით მოველოდით მაისის დადგომას, მაგრამ ეს თვე გვალვებით და აღმოსავლეთის დიდის ქარებით დადგა. ხშირმა ქარებმა და გვალვებმა ძალზე გაახმო უამისოდაც გამხმარ-გაქვავებული მიწა. ამიტომ ხვნა-თესვა აქეთ ამ ჟამად ძალიან შეფერხებულია. დიდი ღვთის წყალობა იქნება, რომ ხვნა-თესვა ივნისის პირველ რიცხვებში გაათავონ, თუ მაისმა ერთი ხეირიანი წვიმა არ აღირსა დედამიწას. მაისის უზომო ქარებმა ხეირი არც ბაღ-ბოსტნეულობას და ხეხილს დააყარა. ხეხილს რაც ესხა, სულ ძირს ჩამობერტყა. ვაზების ახლად გამოტანილი მტევნიანი შტოები ხომ სულ მილეწ-მოლეწა.

წელს აქეთ ჩვენს მეაბრეშუმეებს დიდი სურვილი ჰქონდათ, მეტი მოსავალი მოეყვანათ აბრეშუმისა. ამიტომ დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველანი აბრეშუმის ჭიის ლოლიაობაში იყვნენ, მაგრამ ამ ბოლოს დროს, როგორც გვესმის, ვერ ემადლიერებიან ჭიას, რადგანაც აქა-იქ ეხლავე გაჰფუჭებიათ. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც წელს აქეთ ბერძნებმა და მათმა აგენტებმა ხალხში ბლომად გაასაღეს აბრეშუმის თესლი, რომელიც შეუმოწმებელი იყო. თითო კოლოფი გრენა (კოლოფში 5—6 მისხალი ძლივს იქნებოდა) სამ-სამ მანეთად გაჰყიდეს.

ტრიფონ კალანდარიშვილი.

—

**ახალ-სენაკი.** ეს ერთი თვე იქნება, რაც ახალ-სენაკში მოვიდა მთავრობისაგან ახლად დანიშნული სენაკის მაზრის უფროსი ბ-ნი რეზანოვი. მოსვლისათანავე ყურადღება მიაქცია აქაურს ახლად ასაშენებელს ეკკლესიას, რომელიც ეს 8—9 წელიწადია, რაც დაწყებულია და დასასრული ვერ მიეცა ჩვენის დაბის სამარცხვინოდ. ახლა იმედი აქვთ წელს დამთავრდეს ეკკლესიის აშენება. მაზრის უფროსმა ჯერ ხნობათ ეკკლესიას შესწირა 50 მან. აგრეთვე იკისრა შემოწირულებათა შეგროვება ეკკლესიის სასარგებლოდ. მაზრის უფროსს მხარს უჭერს ამ საქმეში სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ფარნაოზ მხეიძე, რომელიც ამ ეკკლესიის აღმშენებელ კომისიის თავმჯდომარედ ამას წინად იქმნა არჩეული.

ტელეფონი.

—

**დ. ცხინვალი.** აპრილის 28-ს აქაურს ორ კლასიანს ნორმალურს სასწავლებელში იდღესასწაულეს ორმოც-და-ათის წლის გარდაცვალების დღე რუსეთის გამოჩენილის მწერლის ჟუკოვსკისა. პანაშვიდის გარდახდის შემდეგ მასწავლებელმა ბ-ნმა ი. ხიმშიაშვილმა წაიკითხა მოკლე ბიოგრაფია მწერლისა. შემდეგ შესაფერი ლექსი სთქვა მკაფიოდ [illegible] მოსწავლემ. მასწავლებლის [illegible] ბარობით—მოსწავლე ქალებისა და ვაჟების გუნდმა იმღერა „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“. შემდეგ გამოდიოდნენ პატარა მოსწავლეები, ხან ქალები და ხან ვაჟები, და ამბობდნენ ლექსებს. ლექსების კითხვის შემდეგ მოსწავლენი ვალობდნენ. როგორც სიმღერას, ისე ლექსების თქმას შედარებით არა უშავდა-რა: თითო-ოროლა ბავშმა ცოცხლად, მკაფიოდ სთქვა ლექსები.

თქმა არ უნდა, ფრიად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ასეთი ვარჯიშობა ბავშვებისა, მხოლოდ სამწუხარო გახლდათ, რომ აუარებელი მშობლები ბავშვებისა, რომლებიც დაესწრნენ ამ სალიტერატურო დილას, იჯდნენ და პირ-ღია შესცქეროდნენ თავიანთ შვილების გალობას, ლექსების ტიტინს და კი არა ეყურებოდათ-რა, რადგან მოსწავლეების მშობლებმა ინჩი არ იცოდნენ რუსულისა ნუ-თუ არ შეეძლოთ ან მასწავლებელს ხიმშიაშვილს, ან პატივცემულს მამა ბლაღოჩინს, რომელიც საღმრთო სჯულის მასწავლებელიც არის, აეხსნათ, მოკლედ გადაეცათ მაინც და განემარტათ, რისთვის და ვისთვის გადიხადეს ეს დღეობა?!.

აპრილის 29-ს ერთს მედუქნე ოსს მოჰპარეს დაკეტილ თავლიდგან ორი საუკეთესო ცხენი. კარგა ხნის ძებნის შემდეგ გამოუჩნდა მთხრობელი, ისევ ოსი, რომელმაც გამოართვა ხუთი თუმანი ფული და ცხენები მოურეკა დგვრისში (ვერს ნახევარი იქნება ცხინვალიდამ). აქეთ მაინც ამ ბოლოს ხანს ძრიელ გახშირდა ქურდობა და გასტეხეს ღამის რაინდებმა რამდენიმე სახლი.

—

არა ერთხელ გვიჩივლია აქაურ მეპურეების თავ-გასულობაზე, მაგრამ ამაოდ: ისინი თავიანთსას არ იშლიან და ისეთს პურს აცხობენ ხანდახან, რომ ძალიან წუწკი ოთხ-ფეხიც-კი არ დაეკარება. კარგს ინებებენ, ვისიც ჯერარს, მიაქცევდნენ ხოლმე ყურადღებას.

აქ აპირებდნენ რამდენსამე საქველ-მოქმედო წარმოდგენას, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ პროვინციის საქმე, არ დაილევა თითო-ოროლა ყოვლად ქირვეული, თავმოყვარე ადამიანი, რომელთა მეოხებითაც ყოველსავე სასიკეთო საქმეს იქვე კრიჭაში ედება ბოლო. ყოველ ღონის-ძიებას იხმარს, რომ ჯერ თავისი გაიყვანოს და, თუ ვერ მოახერხა, მერე სცდილობს საკეთილო საგანს და საქმეს, რითაც-კი შეიძლებს, ხელი მოუცაროს. მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ დღეს ნება-რთვის აღება რაღაც საჭირ-ბოროტოდ გახდა. აგერ თითქმის ორი თვეა, რაც წარმოდგენის ნება-რთვა ითხოვეს და ჯერაც არსად არის. იცოცხლეთ, გაფაციცებულნი და მარდნი არიან ზემო დასახელებულის ღირსების პატრონნი: უცნაურს ცილის წამებაში, ჭორებში, უზრდელ-უზნეოდ ლანძღვა-თრევაში. ჩასხდებიან საღამოს რვა-ცხრა საათიდგან მოკიდებული მეორე დღის ცხრა საათამდე და იწყალებენ თვალებს და ჯანს „ვერტუშკის“ თამაშობაში. თავი-კი დიდად მოაქვთ და გაიძახიან: მაღალის სმენისა და რწმენის ადამიანები ვართო.

სამწუხარო და სავალალო ის გახლავთ უფრო, რომ ამ თვისებაში დიდი წილი უდევთ ჩვენს თანამედროვე ახალგაზდა ქარაფშუტა ქალბ[illegible]

# ფელეტონი

## ქართველთა საერო დღესასწაული

### I

**საქართველოს განათლების დღესასწაული.**

არა ერთი და ორი უეჭველი ისტორიული საბუთი გვაქვს ხელთ, და უთუოდ მრავალი კიდევ აღმოჩნდება, რომელნიც ქართველთა ისტორიულ ცხოვრების აღორძინების ზოგიერთა ხანას დაწვრილებით გვაცნობებენ და გვიმცნებენ ყველას, რათა თვითოეული ჩვენგანი შეიქმნეს მამა-პაპათა ცხოვრებისა და მოქმედების მხაძავი და განმგრძობი.

ქართველ კაცს თავის ალალ-მართლობით ურიცხვი ისტორიული შემთხვევანი არ აღუნიშნავს, როგორც წვრილმანნი, რაკი დიდ-დიდთა შემთხვევათა აღნიშვნაც საკმაოდ ეჩვენებოდა. «ბერძნებივით რომ ქართველებს ყველაფერი დაწვრილებით ეწერათ თავის სამშობლოს თავგადასავალით, სწერს ნიკოლოზ კათალიკოზი სვეტის ცხოვლის სვინაქსარში XI საუკუნეში, მაშინ მთელი ქვეყანაც ვერ დაიტევდა იმ ნაწერებისათ».

ფრიად სამწუხაროა, რომ დღემდე ათასობით ჩვენი ძველი ხელნაწერები შეუსწავლელნი არიან— „სამკალი ფრიადი არს, ხოლო მუშაკნი მცირედ“. რამდენიც დრო მიდის, იმდენად ახალს ცნობებს ვპოულობთ, რომ ქართველ ერს დიდის ხნიდგანვე გაჰქვიძებია, მადა ეროვნულის თავისებურობისა. შეუვარება და გარკვევით შეგნება თავისუფლების ლედა აზრი.

ამ ცოტა ხანში ჩვენი საეკკლესიო მუზეუმის № 399 ხელნაწერში 23 მაისის რიცხვში ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი: „ამასვე დღესა ღირსისა დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა ნინოსი; ამას დღესასწაულსა ვდღესასწაულობთ ქართველნი განათლებისა ჩვენისასა“. ამ დღეებში ესევე ცნობა ამოვიკითხეთ მეორე ხელნაწერშიაც.

თურმე ქართველ ერს ქრისტიანობის მიღება, ანუ მთელ საქართველოში დათრგუნვა კერპობისა და ამის მაგიერ საერთო სარწმუნოებად ქრისტიანობის გამოცხადება 23 მაისს—ძველადგანვე აღუნიშნავს საერო დღესასწაულად ისე, როგორც 1888 წლიდგან რუსეთის ეკკლესიამ დააწესა 15 ივლისი საერო დღესასწაულად, ხოლო რომის იმპერიაში 312 წ. ქრისტიანობა აღიარებულ იქმნა საერთო სარწმუნოებად. სიამოვნებას გვიზრდის ერთი-ორად ამ ძვირფას ცნობაზედ ზედ მოყოლებული საკუთარი ტროპარ-კონდაკი, ამ დღესასწაულისათვის შედგენილნი ძველადგანვე: „ტროპარი ხმა ჵ. აღმოსვლამან მზისა სიმართლისამან დასავალისა ბნელისა სიკვდილისა შინათა მოგვფინა რაჲ ელვანი მცხინვარენი შენ მიერ ასულო, აღსურვებულმან რაჲ სიძისა უკვდავისა სასძლოს დაწინდებისამან, ბადითა სახარებისათა იმსთვე მონადირებაჲდ თევზთა სიტყვიერთა და მეგზერთენ ჩვენ არვესა მას საუკუდაროსა. ამისთჳსცა შვილნი შენნი, რომელნიცა შენ მიერ შვილ ღვთისა ვიწოდენით, სურვილით მძნობელნი დღესასწაულისა შენისა ელვარისანი გიგალობთ ქალწულო: შვილთათვის შენთა ცხოვრებაჲდ და შეწევნად აღდეგ ნინო, ვითარცა მცველი და მეოხი ჩვენი“.

კონდაკი ხმა გ. «მძინარენი სიკვდილითა საუკუნოჲთა და მისამრულნი სამარებთა ბნელოვანთა შენ სულისა წმიდისა საცემელისა ხმაჲთაგან განღვიძებულნი და განბანილნი შენ მიერ აღმოქმნილისა ემბაჲზისა საჲბანელთაგან ერნი შენნი ქალწულო ვედრებითა შესხმათათა მედღესასწაულენი გნატრით შენ: იმეოხე მეფისათვის მორწმუნისა ურჩთა ძლევად სიმისა მიმართ შენისა, ნინო, და კსნად ჩუჴენთა საუკუნეთა ჭირთაგან“.

ამ ტროპარ-კონდაკს წინ უძღვის ტიბიკონური შენიშვნა: «აღსრულების დღესასწაული ამისი სადაცა მდებარე არს ნაწილი ამისი (ნინოსი), გინა ეკლესია ამისი.“ სირცხვილია, ქართველნო, დავიწყება მამა-პაპის თავისებურ ცხოვრებისა და მოქმედებისა; მათმა დაუღალავმა შრომამ და ღვაწლმა დაიცვა ჩვენი მშვენიერი სამშობლო მიწა-წყალი, სამშობლო ენა და ქრისტიანობა და თვით ჩვენი დღევანდელი სახელი ქართველობისა. ყოველ ერს ჰყავს თავისი საერო გმირნი, აქვს საერო დღესასწაულნი, საერო რწმენანი და ზნე-ჩვეულებანი და ყოველ ამით ერთი მეორისაგან სხვაობს, თავისებურობს. არა მჯერა ქართველი ერი გარდაიქმნას სხვა ერად და გადაგვარების ტრფიალი ჭაერში არ ჩამოეკიდოს: ვერ შეეთვისება ვერც ერთ უცხო ერს და, დამგმობელი ქვეყნიერის მშვენიერებისა, ვერ მიეხწევა ზეცის დიდებასაცა.

ფრიად საჭიროა, სხვათა-შორის, (23) ოც-და-სამი მაისი აღვადგინოთ დღედ დავიწყებულის საერო დღესასწაულისა და ამისათვის პირველ უოვლისა პატიოსანნი სამღვდელონი საქართველოს ეკკლესიისა მოვალენი ბრძანდებიან გააცნონ დღესასწაული ესე სიტყვიერთა ცხოვართა თვისთა. სარწმუნოებაში ჭკოვებდა ძველად ქართველი ერი თავის დაცვისათვის შეძლებასა და, ვინ იცის, იქნება მაგ ერის გულში დღეს მიფერფლილმა სარწმუნოებამ კვლავ აღიფრთოვანოს და ქართველს ერს შეანასვინოს იგი წმიდათა-წმიდა, რისთვისაც სახელოვანნი მამა-პაპანი ჩვენნი საუკუნოთა განმავლობაში ებრძოდნენ ზედ მოსეულ მტერსა და თვისის უმანკო სისხლით ჰრწყავდნენ სამშობლო მთა-ბარსა. ვინ იცის, იქნება სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ნიადაგზედ განახლებულმა „ორბისა სიჭაბუკისაებრ“ ეროვნულმა გრძნობამ ნაცარ-ქექიაობას გადაარჩინოს ქართველი ერი, გააწმენდინოს აგარაკი უფლისა ეკალთაგან და კუროსთავთა და დაათესვინოს იფქლი არსობისა ჩვენისა. იქნება ქართველი ერი მიახედოს უკუღმართად განვლილ საუკუნეზედ და წარსულნი შეცოდებანი გზად და ხიდად მოახმარებინოს მომავალში.

მღ. პ. კარბელაშვილი.

## სახადი (ტიფი *) და მისი ახალი წამლობა.

სახადსაც თავისი ბაცილა ჰყავს, რომელსაც სახელათ ჰქვიან მეცნიერ „ებერტის ბაცილლა“. ეს ბაცილა ჰგავს მოკლე მორგვალო თავებიან ჩხირს. აი, ამ ბაცილის შხამით იწამლება ადამიანის სხეული, როდესაც სახადით ხდება ავად. ადამიანის ნაწლევები ერთად-ერთი ადგილია სხეულში, სადაც სახადის ბაცილები თავდაპირველად იწყებენ გამრავლებას და გამოაქვთ თავისი შხამი, ხოლო ნაწლევებიდგან-კი ეს შხამი გადადის სისხლში და ამ გვარად მთელი სხეული იწამლება. თქვენ რომ სახადით ავადმყოფის ნაწლევები ჯირკვლები და ელენთა გასინჯოთ, მრავალს აღმოაჩენთ ამ სენის ბაცილებს.

ადამიანს ეს ბაცილები ჩაჰყვება ან წყალთან ან საჭმელთან ერთად. შეიძლება ჰაერიც ჩასუნთქვის დროსაც ჩაჰყვეს, თუ რომ ჰაერი მოწამლულია სახადის ბაცილებით.

თუ რომ ბაცილები კუჭში მის მჟავე წვენს გადურჩა და ნაწლევებს მიაღწია, იქ ნაწლევების მლაშე წვენი ხელს შეუწყობს მათს გამრავლებას და შხამის გამოღებას. რამდენადაც კუჭი სუსტია, მაშასადამე, რამდენადაც კუჭის წვენის სიმჟავესაც ძალა მოკლებული აქვს, იმდენად უფრო ადვილია ბაცილების გადასვლა კუჭიდგან ნაწლევებში.

რადგან სახადის ბაცილების არჩეული ადგილი ჩვენი ნაწლევებია, ამიტომ სახადით ავადმყოფის განავალიც სავსეა ამ ბაცილებით. სჩანს, მაშასადამე, რომ უმთავრესი საშუალება სახადის გავრცელებისა და გადადებისა ამ გვარ ავადმყოფის განავალია. იქ, სადაც შესაფერი სანიტარული ღონისძიება მიღებული ამ გვარ ავადმყოფის განავლის წინააღმდეგ, იქ შეუძლებელია, სახადი სხვას შეჰხვდეს.

სწორედ ამითი უნდა აიხსნას, რომ სახადი არ სთვლიან იმ გვარ გადამდებ სენად, როგორიც არის ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, შავი ჭირი და სხვა.

მართლაც, საავადმყოფოებში სახადებიან[illegible]

*) Typhus abdominalis.

ტონებსაც. ეე, მახლას, აირია დროთა-ვითარება და აირივნენ ჩვენი გადაგვარებული და უხასიათო ქალბატონებიც!...

—

ის იყო ვათავებდით ამ მოკლე წერილს, რომ შემთხვევით წავაწყდით გაზეთ „ცნობის ფურცელში“ № 1801 ცხინვალის ამბებს და ამოვიკითხეთ შემდეგი: „მინდა გავკადნიერდე და სალათას ძილით შეპყრობილს ცხინვალს პირ-ბადე ავხადო... ყურები გამოგვიჭედეს სამკითხველოს დაარსების შესახებ ლაპარაკით; გვაიმედებდნენ: სამკითხველოს ჩამქრალი ნაპერწკალი „ჩვენ“ გვსურს გავაღვივოთო და სხვა. ამას გაიძახოდნენ ცხინვალელი ინტელიგენტი კაცები და ქალები, მაგრამ ყოველივე ეს დარჩა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, სამკითხველოს საქმე-კი განისვენებს წიაღსა შინა აბრაამისა, ისააკისა და იაკობისასა! დღეს სამკითხველოზედ სამგლოვიარო ზარი-ღა გაისმის, რადგან მეთაურთა შინა კინკლაობა და უბრობა ჩამოვარდა“...

რადგანაც ცხინვალის ჩამქრალ სამკითხველოს მომტირალი დასაწყისიდგან დღევანდლამდის მე გახლავართ და ყურებსაც მართლა მე ვუჭედდი ბეჭვდითი სიტყვით, თუ ლაპარაკით საზოგადოებას და კინკლაობა, უბრობაც მე მომივიდა ერთ ადამიანთან, მაშასადამე, ბ-ნ ფრონისპირელის სიტყვებიც მე მეკუთვნის. ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოკლედ მოვახსენო ხსენებულ წერილის პატივცემულს ავტორს, თუ რაოდენად შემცდარია სამკითხველოს შესახებ. როგორც წინად, ისე ახლაც, ისევ გულითა და სულით მოწადინებული გახლავართ სამკითხველოს „ჩამქრალი ნაპერწკალი გავაღვივოთ“, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ხერხდება, იმიტომ-კი არა, როგორც მოჰლანდებაია სიზმრად, თუ ცხადლივ ფრონისპირელს, ვითომ: „კინკლაობა და უბრობა ჩამოვარდა და გლოვის ზარი-ღა გაისმის“, არამედ იმიტომ, რომ წარსულის წლის დეკემბერში ვითხოვეთ ნებართვა და წელს მაისის 8 თუ 10-ში მივიღეთ პასუხი: გვთხოვენ პროგრამას სამკითხველოსას და თორმეტს ამ თვეს გადავეცით კიდეც და, დაგვრთავენ ნებას თუ არა, ღმერთმა იცის.

მიბრძანეთ ახლა, ვის და რის ბრალი ყოფილა სამკითხველოს დაარსების დაგვიანება? მართალი ხართ, როდესაც ამბობთ; „პირ-ბადე უნდა ავხადო სალათას ძილით შეპყრობილს ცხინვალსაო“. მართალია ბევრი რამ ხდება უცნაური და ღირსია პირბადის ახდისა, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთებმა გაახილონ თვალი და იცოდნენ, მათს ცუდსა და კარგს დარაჯი ჰყავს; კარგს ქებათა-ქებას უგალობენ, ვაშას დასძახიან, ხოლო ცუდს ჰკიცხავენ, ქარ-ცეცხლში ატარებენ, რათა გასწორდნენ...

რაე და ფარი.

# კავკასია

კავკასის რკინის გზაზედ ამ ჟამად 14 სასწავლებელია. ეს გზა, როგორც ვუწყით, კერძო საზოგადოების ხელშია. ეხლა საზოგადოებას განუზრახავს დაარსება ორის სატეხნიკო სასწავლებლისა. ერთი კავკავში იქნება, მეორე როსტოვში. ამას გარდა, საზოგადოება აარსებს საზოგადო სასტუმროებს მოსწავლეთათვის კავკასს, სტავროპოლს და პიატიგორსკში, პირველ ქალაქში—ქალთათვის, მეორესა და მესამეში—ვაჟთათვის.

—

ამ ზაფხულს კავკასიაში ჩამოვა სტროგანოვის სასწავლებლის (მოსკოვშია) მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჯგუფი. მოსკოვის გაზეთების სიტყვით, ეს ჯგუფი თავის ხარჯით სოჭაში შეუდგება საზაფხულო ახალშენის გამართვას.

# უცხოეთი

**ანტილიის კუნძულები.** საცოდავ სურათს წარმოადგენს თურმე მარტინიკა. თუ მთელი კუნძული არა, დიდი ნაწილი მაინც ნანგრევებითაა მოფენილი. კომლი ნისლ-ბურუსივით ახვევია კუნძულს. დრო გამოშვებით პელეს ვულკანიდგან ცხელი ნაცარ-ტუტი ამოვარდება ხოლმე, რომელიც დიდ ტალღასავით მოგორავს ზღვისაკენ. მეორე ამოხეთქამ მეტად შეაშინა მცხოვრებნი. ყველას, დიდსა და პატარას, ღარიბსა და მდიდარს, ერთი-ღა ერთი სურვილი აქვს მხოლოდ—კუნძულიდგან გადასახლება, სხვა ადგილას წასვლა. მცხოვრებნი ემუდარებიან და ეხვეწებიან ყველას, წაგვიყვანეთ აქედგანაო. მთელის კუნძულიდგან მცხოვრებნი ფორტ-დე-ფრანსში იკრიბებიან. ყველა იმას გაიძახის, რომ თუ არ წავედით, მალე კუნძული დაიღუპება და ჩვენც თან ჩაგვიტანსო. უცხო-ქვეყნელ ელჩებსა და გემის უფროსებს ყოველ დღე დიდძალი ხალხი ტირილით ეხვეწება სახიფათო კუნძულიდგან წაყვანას.

ამინდი ამ ბოლოს დროს მთელ კუნძულზედ კარგია, მაგრამ განუწყვეტელი გრგვინვა მაინც თავ-ზარსა სცემს მცხოვრებთ. სენ-პიერში ქვა-ქვაზედ აღარ დააყენა პელედგან ამოვარდნილმა ნაცარ-ტუტმა. ქალაქის ნასახი აღარ არის. იმ ადგილას, სადაც ქალაქი იყო, ფერფლი, ქვები და უზარმაზარი ლოდები ჰყრია. სენ-პიერის მახლობლად მიწა ბევრგან დასქდა. ამ ნახეთქებიდგან განუწყვეტლივ კომლი და ოშხივარი ამოდის.

ამერიკიდგან გაგზავნილი გეოლოგთა კომისია ამ ჟამად მარტინიკზეა. კომისიამ უნდა გამოიკვლიოს, საშიშოა თუ არა მცხოვრებთა კუნძულზედ დატოვება.

შემდეგ საცოდაობის ამბავს გადმოგვცემენ გაზეთები. გრანდ-რივერში დიდ-ძალი ხალხი, უმთავრესად ქალები და ბავშვები, ისეთ ადგილას მოჰყოლიან, რომელსაც ყოველის მხრიდგან ადუღებული ნაცარ-ტუტა ჩამოდის. ამათი გადარჩენა ყოვლად შეუძლებელია თურმე. საწყლები ხელებს იქნევენ, შველას თხოულობენ, მაგრამ მშველელი არავინ არის.

ს.-ლუჩიას კუნძულზედ სხვებთან ერთად გადასახლებულა ფორტ-დე-ფრანსედგან ვინმე ლაბა, ქალაქის საბჭოს წევრი, ერთის გაზეთის თანამშრომლისთვის ამ ლაბას უამბნია ყოველივე ის, რაც ფორტ დე-ფრანსეში 17, 18 და 19 მაისს მომხდარა. აი, სხვათა შორის, რა უთქვამს: „შაბათს, 17 მაისს, საღამოს $5^1/_2$ საათზედ, მოულოდნელად ფერფლის წვიმა წამოვიდა. მზე სრულიად აღარა სჩანდა და ქალაქში წყვდიადი გამეფდა. ამ სიბნელემა და ფერფლმა ხალხი მეტად შეაშფოთა. კვირას ცოტად განათლდა, მაგრამ ფერფლი მაინც განუწყვეტლივ მოდიოდა. ხშირად ფერფლთან ერთად ქვები სცვივოდა. მცხოვრებნი უფრო შეაშინა გრგვინვამ, რომელიც ვულკანიდგან მოისმოდა. მაგრამ ყველაზედ უარესი ორშაბათი იყო. ცაზედ გამოჩნდა სირაქლემას ფრთების მზგავსი უზარ-მაზარი თეთრი ღრუბლები. ამ ღრუბლის ნაპირებს ალის ფერი ჰქონდა. ბევრს ცეცხლი ეგონა. შუადღისას ზღვა აღელდა და ნაპირს კარგა დიდ მანძილზედ მოშორდა. შემდეგ უზარ-მაზარი ტალღა ნაპირს შეახტა. ფერფლის წვიმამ ამავე დროს უფრო-და-უფრო მოუხშირა; ქვები და ლოდები განუწყვეტლივ ცვიოდა. ძალზედ შეშინებულმა ხალხმა ცხვრის ფარასავით ქუჩებში დაიწყო სირბილი. ზოგი ქალაქს სულ გაჰშორდა და შორს გორებისაკენ გაქანდა, ზოგი კიდევ ზღვის ნაპირისაკენ გაეშურა. ნაპირას მთელს ოჯახს შეჰხვდებოდით, ხელ-აპყრობილს და ლოცვად დამდგარს. ყველანი ღმერთს ევედრებოდნენ უბედურებისაგან გადარჩენას. ისინი, ვინც ნავებში ჩაჯდომა მოასწრეს, გემებისაკენ გაეშურნენ. სხვები პირდაპირ ტანისამოსიანნი შეუდგნენ ცურვას. ერთმა ინგლისელმა ამ გვარად მიაღწია გემამდე.

მარტინიკისავით ვიკენტის კუნძულიც დაქცეული და დანგრეულია. „Daily Mail“-ის კორესპონდენტი შემდეგს იუწყება დეპეშით: „დავათვალიერე ქალაქი. ქუჩები სავსეა ქვებით. სახლებს ფერფლი აქვს გადაკრული. რამდენიმე გადარჩენილი სახლი და სამი კარავი სავსეა დაშავებულებით. ისეთ საცოდავ მდგომარეობაში არიან დაშავებულნი, რომ აღწერა შეუძლებელია. სულ ცოტა დაშავებულთა 60 პროცენტი ვეღარ მორჩება. ყოველ ნაბიჯზედ პირუტყვთა და ადამიანთა გვამები მხვდებოდა. კუნძული ისეა მიწასთან გასწორებული, რომ უდაბნოსა ჰგავს. მდინარეები და წყაროები ზოგგან დაშრა, ზოგგან კიდევ ქვებითაა სავსე. უწყლობით ხალხი გაჭირვებულია. ყველაფერს ფერფლი აქვს გადაფარებული. ხეებზედ აღარც ერთი ფოთოლი აღარ არის“.

**საფრანგეთი.** ნაციონალისტთა დასი, რომელმაც ხრიკებითა და ოინებით ასე ისახელა თავი არჩევანების დროს, უკვე ირღვევა. როგორც ვუწყით, ამ სახელს ნამდვილ ნაციონალისტთა გარდა კლერიკალნიც ამოეფარნენ. არჩევნების დროს ნაციონალისტებმა მშვენივრად გამოიყენეს კლერიკალების ფული; იმათი კავშირის მიზეზი სწორედ ეს იყო. არჩევნები გათავდა. ნაციონალისტები ფულს აღარ საჭიროებენ, ამიტომ სცდილობენ კლერიკალების თავიდგან მოშორებას. პირველი ნიშანი ამისა უკვე არის: „საფრანგეთის ლიგამ“ თავიდგან მოისხლიტა თავისი საპატიო პრეზიდენტი ფრანსუა კოპპე. კოპპე ლიგის მეორე პრეზიდენტს ჟიულ ლემეტრს, სხვათა შორის, სწერს, რომ ლიგა შისაყვედურებს გადაჭარბებულ კლერიკალობას და ჩემს მოშორებას სცდილობსო. „ვეღარ დავრჩები, სწერს იგი, იმ საზოგადოების პრეზიდენტად, რომელიც თავის კრებიდგანა მდევნის, ამიტომ თავს ვანებებ“. ამასთან კოპპე აღტაცებით იგონებს ლიგის დაარსების პირველ წუთებს არჩევანების წინად. დასასრულ ამბობს, მივდივარ, რადგანაც დავრწმუნდი, რომ არ „გამოვდგები საპოლიტიკო ცხოვრებისა და მდაბალ კომბინაციებისთვისაო“.

—ამბობენ, სამინისტროს შედგენა სენატორს კომბას მიენდობაო. ახალს კაბინეთში, სხვათა შორის, იქმნებიან ანდრე, ბრისონი და ტრულიო. მელინისტები სცდილობენ თავიანთი კაციც შეიყვანონ კაბინეთში.

**გერმანია.** უკვე უწყიან მკითხველებმა, რომ გერმანიის რეიხსტაგმა 250 მილიონი მარკა გადასდო „საკოლონიზაციო კომისიისათვის“. კამათი რეიხსტაგში მეტად ცხარე ყოფილა. ბიულოვს გრძელი სიტყვა უთქვამს. ჩვეულებისამებრ კანცლერს განუცხადებია, რომ სახელმწიფო პოლონელთაგან განსაცდელშია და უნდა ზომები მივიღოთო. ამისათვის კომისიამ მამულები უნდა შეიძინოს, გერმანელ მოხელეებს პოლონეთში ჯამაგირები მიემატოს და სხვა. ცენტრმა მხარი არ დაუჭირა მთავრობის წინადადებას. იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციასაო, სთქვა ცენტრის წარმომადგენელმა ფრიტცენმა. ამას გარდა, ფრიტცენის აზრით, კომისიის მოქმედება უნაყოფოა. მას შემდეგ, რაც კომისიამ მოქმედება დაიწყო, გერმანელებმა ადგილები დაკარგეს, პოლონელებმა-კი შეიძინესო. გერმანელთა ხელიდგან 31 ათასი გექტარი მიწა წავიდა. პოლონელმა შუმანმა შემდეგი მოკლე განცხადება წაიკითხა: „კანონ-პროექტი კონსტიტუციისა და ზნეობის წინააღმდეგია, რადგანაც დევიზად შემდეგი აქვს დასახული: „ძალა წინ უძღვის უფლებასაო“. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ“. ამის შემდეგ პოლონელნი გასულან პალატიდგან. კონსერვატორებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა მხარი დაუჭირეს კანონ-პროექტს. წინააღმდეგი იყო იმისი თავისუფალ მოაზრეთა დასი. რიხტერმა სთქვა: „საყურადღებოა, რომ მთავრობამ ელზას-ლოტრინგში დიქტატურა გააუქმა და პოზნანიაში განსაკუთრებული კანონები შემოიღო. ესეთი კანონები აძლიერებენ იმ დასს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია. პოლონელთა ელემენტიც ძლიერდება. ბისმარკს ეგონა, რომ პოლონელნი გაჰყიდიან მამულებს და რუსეთსა, პარიჟსა დ მონაკოში წავლენ; მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. ოთხის წლის განმავლობაში კომისიამ 15,000 გექტარი პოლონელთაგან იყიდა და 52,000 გექტარი გერმანელთაგან. ამ რიგად ეს პოლიტიკა უძლური გამოდგა. რაც ამ საქმეს ფული ხმარდება, შეიძლება რკინის გზების გაყვანასა და სხვა კულტურულ საქმეს მოხმარდეს“. ამის შემდეგ კანონ-პროექტი კომისიას გადაეცა.

**ოსმალეთი.** პარიჟის გაზეთ „Temps“-ს სტამბოლელ კორესპონდენტისაგან მოსვლია ცნობანი ოსმალელ სომეხთა მდგომარეობის შესახებ. „გასულ მარტს, სწერს კორესპონდენტი, სივასის ვალიმ-ჰასსან-ფაშამ და პირველ არმიის კორპუსის უფროსმა ჯერ თავის უმოქმედობით წააქეზეს ქვეშევრდომნი ძარცვაგლეჯაზედ, და ეხლა ნამდვილი ორგანიზაცია შეუდგენიათ ამომჟლეტელთა. ევროპა, უეჭველია, კიდევ შეძრწუნდებოდა ამბებით, რომელნიც დაუვიწყარ 1897 წ. მხეცობას აღარ ჩამოუვარდებოდა, რომ ერთ ვალის ქვეშევრდომთაგანს არ ეცნობებინა დეპეშით სტამბოლს უბედურებისათვის მზადების შესახებ. ხონთქარმა ფიცხლავ სასტიკი ბრძანება გაუგზავნა ჰასსან-ფაშას და სომხები გადარჩნენ. მაგრამ, თუ ამოჟლეტა არ მოხდა, უკეთა ვსთქვათ, ამოჟლეტა გადიდვა, მცხოვრებთა თავს მაინც ყორანი დასტრიალებს; მათ ყოველგვარ შევიწროვებას აყენებენ გადასახადთა ამკრეფნი, ოსმალელი ჯარის-კაცნი, ქურთები, ზაფთიები და სხ. განსაკუთრებით მუშის ოლქია შევიწროვებული: ხარჯის ამკრეფთ თან დასდევს დამშეულ ჯარის-კაცთა რაზმი, შედიან სოფლებში, სძარცვავენ და იტაცებენ ყველაფერს, რასაც-კი მოახელებენ, სტანჯვენ მამა-კაცთ და აუპატიურებენ მანდილოსანთ. საწყლები იშვიათ შემთხვევაში აცხადებენ უკმაყოფილებას; ოღონდ-კი თვალის წინ ნუ უწვალებენ შვილებს და თვითონ აძლევენ ავეჯეულობას, იარაღს, ტანისამოსს, რომ როგორმე მშვიდობით გადარჩნენ მათ მხეცობას.

## უწეს-რიგობა რკინის გზაზედ

ოც-და-ათი წელიწადია, რაც კავკასიაში რკინის გზის მოძრაობაა და ათას გვარ უსიამოვნებას მგზავრთათვის ბოლო არ მოუდო. პირ-იქით, თითქო მატულობს თანდათან ასეთი უსიამოვნება. აღვნიშნავ რამდენსამე შემთხვევას: ჩავედით ჭიათურიდას 200-მდე მგზავრი შორაპნის სადგურზედ, მაგრამ ჩვენს წამყვან ტფილისიდან მომავალ მატარებლის მოსვლას ვერ გვედირსეთ, რადგანაც იგვიანებდა თურმე და ეს გარემოება-კი ჩვენ ვერას გზით ვერ შევიტყეთ. ერთის საათის შემდეგ გამოგვიცხადეს: „მატარებელი დიდის ექვს საათზედ მოვა, მხოლოდ ბრძანება გვაქვს ბილეთები არ გვსცეთ ვაგონებში ადგილების უქონლობის გამოო“. მოვისმინეთ ეს თუ არა, რამდენიმე მგზავრმა განვიზრახეთ სად. ყვირილაში წასვლა, რადგანაც შეუძლებელი იყო ოთხ-ხუთს საათს ფეხზედ დგომა იქ, სადაც ამდენი ჯარი ერთად ვერ ვეტეოდით ჩვენის ბარგი-ბარხანით. ამის მიხედვით, ასამდე კაცმა გავსწიეთ სად. ყვირილაში ფეხით და ღამის სამ საათზედ შევებარგეთ სადგურის ბუფეტში. შესვლისთანავე ჩაგვიკეტეს ყოველ მხრიდგან კარები და ამდენი [illegible] მწყვდიეთ ოთხ-კედელ შუა. ბოლოს, [illegible] გვედირსა გათენებაც და ერთმა სადგურის მოსამსახურეთაგანმა თავის საჭიროებისათვის ინება კარის გაღება; ამ შემთხვევით ვისარგებლეთ ზოგიერთებმა და სუფთა ჰაერზედ გავედით, მხოლოდ ბუფეტში შესვლა-კი, ვეღარ მოვახერხეთ. სადგურის კარები კვლავ დაკეტეს და, როცა ვსთხოვეთ იმავე მოსამსახურეს კარების გაღება, რუსულად გვიპასუხა: „მატარებლის მოსვლამდე სადგურის წინ სიარული აკრძალულიაო“. ეს სიტყვები მეუცხოვა, რადგანაც გარეთ მეოფენი შინ შესვლას ვთხოვდით და ის-კი იმეორებდა: „სასტიკად აკრძალულია გარეთ სიარულიო“.

რა-კი შეუძლებელია გარედ სიარული, იმიტომ გთხოვთ კარების გაღებას-მეთქი, ვუთხარი მე. მან მედიდურად მიპასუხა: «არ შეიძლებაო»! ამ ლაპარაკში მატარებელმაც მოატანა სადგურს და კარებიც გააღეს; ჩვენც მივაშურეთ ჩვენ-ჩვენს ხაბაკებს, რომელიც ბუფეტში გვქონდა დარჩენილი, მაგრამ...

მატარებელი გაჩერდა თუ არა, მივაწყდით საბილეთეს. თუმცა იმედი აქვს გაგვიცრუვდა და, ქუთაისის მაგივრად, ბათუმის და ფოთის ბილეთები შემოგვთავაზა მებილეთემ და თან დაუმატა: „ქუთაისის ბილეთს არ ვიძლევითო“. მეტი აღარც დრო იყო გვეთქვა რამე და ათიოდემ ავიღეთ ფოთის ბილეთები, მხოლოდ ვაგონებში ვნახე აქა-იქ ყვირილიდგან გაცემული ქუთაისის ბილეთები.

რას ჰნიშნავს ამნაირი უწეს-რიგობა კავკასიის რკინის გზაზედ? უნდა ვიკითხოთ შემდეგი:

1) რატომ არ აღნიშნავენ ხოლმე მატარებლების დაგვიანებას სადგურის კედლებზედ გადმოკიდებულს დაფებზედ, როგორც ამას სჩადიან ტფილისში?

2) რატომ არ უმატებენ სახალხო მატარებელ ვაგონების რიცხვს? ნუ-თუ გასაჭირია 8—9 ვაგონის მაგივრად 15—16 ვაგონი მოაბან? ან რატომ მეორე მატარებელს არ დაასწესებენ, ისე როგორც საბარგო მატარებლისათვისაა შემოღებული, მაგალითად, პირველი საბარგო მატარებელი გავიდა, ვსთქვათ, ტფილისიდან ბაქოსკენ. იმავე დროს მეორე მატარებელი აჰშვებიდან მიდის ტფილისში და ასე ამ ნაირად ერთი მისდევს მეორეს, მხოლოდ ერთის სადგურის სიშორით. რასაკვირველია მეტ საჭიროებას მოითხოვს სახალხო მატარებლების ამნაირი მსვლელობა, ვიდრე ბარგის გადამზიდველ მატარებელთა მოძრაობა.

3) რა მიზეზით უცხადებენ უარს ზოგიერთებს ბილეთების გაცემაზედ და იმავე დროს რამდენსამე ბილეთს აძლევენ სხვებს, დანარჩენები-კი იძულებულნი არიან მორეულ სადგურამდე იყიდონ ბილეთი, რის გამოც 60 კაპ. მაგივრად 1 მან. 50 კ. ან 2 მანეთი უნდა გადიხადოს. ან რად აცხადებენ: „ბრძანება გვაქვს ბილეთები არ გაცეთო. შემდეგ-კი აძლევენ «კასსას».

4) აბრკოლებს თუ არა ბუფეტის კარების დიად დატოვება სადგურს? ხომ მავნებელია მგზავრთათვის ოთხ კედელ შუა დიდ-ძალ ხალხის მომწყვდევა 4—5 საათით, რისა გამოც ჰაერი იწამლება და ავადმყოფ მგზავრ სული უგუბდება. ამასთანავე ამდენის ხალხის ერთად შეჯგუფება ათას გვარ ურიგობასა და ღაზღანდარობას იწვევს.

საჭიროა ყველა ამ უწესობას და მრავალს კიდევ სხვას, რომლის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა, მიექცეს ყურადღება და მგზავრთა ინტერესები მეტის გულმოდგინეობით იქმნას დაცული.

გ. ნაცლი.

## კრების სახე

ღრუბლიანი და წვიმიანი უგემური დილა, სათავად-აზნაურო ბანკის გაჭვარტლული დარბაზი და უფერული გროვა პიჯაკ-სერთუკოსანთა,—ასეთის სახისა იყო წერა-კითხვის საზოგადოების წლიური ჩვეულებრივი კრება გუშინ-წინ, კვირას.

რომ დაჰკვირებოდით, ამ მკრთალს სურათში აღმოჩნდებოდა: პირველად, გამგეობის წევრნი, მწვანე მაუდიან სტოლთან სავარძლებზედ მჯდომნი,—საპატიო ადგილი, რომელიც, ბოლოს, ბრალდებულის სკამად გარდაიქცა. შემდეგ, წინა რიგში, შორი-შორს, რამდენიმე დიდი ხნის ცნობილნი მოღვაწენი, რომელნიც, მას აქეთ რაც ჩვენში „საზოგადოებანი“ შემოიღეს, მგონია, არც ერთს კრებას არ მოსცდენიან. ერთს კუნჭულში—ქალების მცირე დასი, და დანარჩენი დარბაზის ბოლო გაჭედილია ფეხზედ მდგომ უცნობის ხალხით,—სულ ახალგაზრდობა, უწვერული და ულვაშ-აშვანებული. თვით თავმჯდომარე არ არის დარწმუნებული ამათ წევრობაზედ და ადგომ-დაჯდომით ან ხელის აწევით საქმის გადაწყვეტას ერიდება.—ტყუილი შიშია: ახალგაზრდობას კენჭიც რომ არ ეკუთვნოდეს, მომავალი მაინც მისია.

წაიკითხეს შარშანდელის კრების გრძელი პროტოკოლები და ამ კითხვას მოჰყვა გრძელი, უგულო და უნდომო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პროტოკოლი, გრძელი, თუ მოკლეო? ვისაც შარშან ნათქვამი

—

...თათვის არ არის განცალკევებული ოთახი, იგინი მოთავსებულნი არიან სხვა დანარჩენ ავადმყოფებთან ერთად. იშვიათად მომხდარა, რომ ამ შემთხვევაში ვისმე გადასდებოდეს სახადი: ან იქვე მყოფ ავადმყოფებს ან მათ მომვლელთ.

გამოჩენილი გერმანელი ჰიგიენისტი პეტენკოფერი და მისი სკოლა მიწას სთვლის იმ განსაკუთრებულ ადგილად, სადაც მრავლდება სახადის ბაცილები. პეტენკოფერის აზრით სახადით ავადმყოფი სრულებით უვნებელია მომვლელ-მახლობელთათვის, რადგან სახადის ბაცილები, რომლებიც ამ გვარ ავადმყოფის განავალშია, მოკლებულნი არიან იმდენ ძალღონეს, რომ კიდევ სხვა ადამიანის სხეული მოსწამლონ; ამისათვის საჭიროა ეს ბაცილები გადვიდნენ მიწის ნიადაგში, სადაც ისინი ხელ-მეორედ მოიპოვებენ ძველებურ ძალას და ამ გვარად ნიადაგის წყალობით ხელ-მეორედ შხამიანები გახდებიან.

როდესაც ნიადაგი ქვიანია, მაშინ სახადის ბაცილებს აღარა აქვთ ძველებურ სიძლიერის მოპოვების უნარი, ხოლო რბილი და ფხვნილი ნიადაგი, რომელიც ადვილად იწოვს წყალს და ჰაერს, ძლიერ ხელს უწყობს ბაცილების გაღონიერებას.

სხვების აზრით, სახადის გადადებაში წყალს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ძლიერ ხშირად სახადის დიდ ეპიდემიის დროს აღმოჩენილა, რომ მიზეზი გადადების ბაცილებით მოწამლული დასალევი წყალი ყოფილა.

საზოგადოდ ნიადაგსა და წყალს დიდი დამოკიდებულება აქვს ურთიერთ შორის; როდესაც ნიადაგი სახადიან ავადმყოფის განავლით იწამლება, არ შეიძლება, რომ ნიადაგიდგან ბაცილებით წყალიც არ მოიწამლოს და, თუ ეს წყალი დასალევად იხმარება, სახადიც თავს იჩენს!

ინგლისსა დ გერმანიაში რამდენიმე შემთხვევაა აღნიშნული, რომ სახადით ავად დახდნენ რძის წყალობით: თურმე ჭურჭელი იყო უსუფთაო.

ჯერ არ არის გამოკვლეული ის საგანი, გახდება ადამიანის გარდა სხვა რომელიმე ცხოველი ავად სახადით, თუ არა.

ადამიანის წლოვანებას მნიშვნელობა აქვს სახადით ავად გახდომაში: თხუთმეტ წლიდგან ოც და-ათ წლამდე საუკეთესო ხანად სთვლიან სახადისათვის; ოც-და-ათ წლიდგან დაწყებული ამ სენით შეპყრობის შიში თან-და-თან კლებულობს. ძუძუთა ბავშვი ერთ წლამდის იშვიათად გახდება სახადით ავად.

დღემდე სახადისათვის არა გვქონდა ნამდვილი წამალი. ის, რასაც სახადით ავადმყოფს ვაძლევდით, სრულებით არა ჰმოქმედებს არც ბაცილებზედ და არც მათ გამოღებულ შხამზედ; წამლის დანიშნულებაა მხოლოდ ავადმყოფის სხეულის გამაგრებაა; ექიმი უნდა ეცადოს იმდენი ძალ-ღონე მისცეს სხეულს, რომ შესძლოს გამარჯვებული გამოვიდეს ამ ბაცილების მიერ გამოწვეულ ბრძოლიდგან.

ეხლა მეცნიერმა შანტემესსმა მოამზადა ასაცრელი სითხე სახადით ავადმყოფებისათვის. ჯერ კიდევ 1892 წ. ამავე მეცნიერმა მოამზადა შრატი ამ გვარ ავადმყოფების ასაცრელად. ეს სითხე შესდგებოდა თვით სახადის ბაცილებისაგან, მაგრამ ამ წამლობამ ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა ავადმყოფებს. ახლა შანტემესსმა მოამზადა სითხე, რომელიც შესდგება სახადის ბაცილების საწამლავისაგან—ტოქსინისაგან. იმ ასს ავადმყოფში, რომელსაც ეს სითხე აუცრა, მხოლოდ ექვსი მოკვდა. იმავე დროს იმ ავადმყოფთა შორის, რომლებსაც ჩვეულებრივად სწამლობდნენ 25%—30% გარდაიცვალა სახადით.

თუ რომ ეს სითხე ავადმყოფობის პირველ კვირის განმავლობაში შეასხურეს, ასში არც ერთი არ მოკვდება. შესხურებისათანავე ავადმყოფს სიცხე ნელდება და მალე სრულებით რჩება, ხოლო თუ უფრო გვიან მიჰმართეს ამ წამლობას, სიცხეს უფრო ნელ-ნელა უკლებს და რამდენისამე დღის შემდეგ სიცხე ხელმეორედ უმატებს, ასე რომ საჭიროა შეშხაპუნების განმეორება.

ერთი სიტყვით, რამდენადაც უფრო ადრე შეუშხაპუნებენ ამ სენით ავადმყოფს, იმდენად უფრო მალე და ნამდვილად რჩება.

შანტემესსის აზრით, საჭიროა ყოველ საეჭვო შემთხვევაშიაც-კი პირველ დღეებშივე ამ სითხით წამლობა.

ერთი სიტყვით, დაუღალავ მეცნიერთა გამოკვლევის წყალობით კაცობრიობა თანდათან განთავისუფლდება სხვა-და-სხვა საშიშ ავადმყოფობათაგან.

ექიმი ბადრიძე.

თავისი სიტყვა მარგალიტად მიაჩნია, იმას გრძელი პროტოკოლი ურჩევნია; ვინც ნათქვამსა ნანობს, მოკლე პროტოკოლის მომხრე გახდა. ორივეს სურვილი შეათანხმეს და გადასწყვიტეს, პროტოკოლი ორი იყვეს: ერთი გრძელი და ერთიც მოკლეო.

მე რომ მკითხოთ, გრძელს პროტოკოლზედ უკეთესი არა იქნება-რა. ხომ გახსოვთ შარშანდელი კრების ცხარე და მწვავი კამათი, და აბა, როგორ წარმოგვიდგება მაშინდელი საშინელი განხეთქილება დღევანდელს პროტოკოლში წვრილად ნაამბობი?—რა იყო, რისთვის ვახალეთ თავი ქვას? რა დარჩა მაშინდელის ღვარძლისა და მტრობისაგან, თუ არ აბეზარობა, სირცხვილი და შერიგების სურვილი?.. დიაღამც, გრძელი პროტოკოლი ხასიათის მწვრთნელია.

გრძელ პროტოკოლების კითხვას მოჰყვა სარევიზიო კომისიის გრძელის მოხსენების კითხვა. მკვახე და გამგეობისათვის არა სასიამოვნო შენიშვნებით იყო სავსე მოხსენება და, სხვა დროს, იქმნება გამწარებულს კამათსაც გამოიწვევდა, ეხლა-კი შურის მაძღრობა იმოდენი იყო, რომ კრებას კამათის ხალისი თითქოს დაჰკარგვიაო, ისე უნდომოდ მიიზლაზნებოდა ბაასი. ისე ჩაიკითხეს შვიდი მუხლი მოხსენებისა და ისე ჩაიარა მათს თაობაზედ შვიდჯერ განახლებულმა ბაასმა, რომ ორატორები ერთხელაც არ აღელვებულან, და კრების თავმჯდომარეს რომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისათვის არ გადაესროლა ორიოდე „სალაღობო-სათრეველი“ სიტყვა, საშინელი „საკუჩნაობა“ იქმნებოდა.

მაგრამ მოხსენების მერვე მუხლმა-კი კინაღამ არ დაარღვია საერთო თანხმობა და ორატორთა კეთილ-განწყობილება. საქმე ისევ ის უბედური და წყეული კავკავის სკოლის ინციდენტი იყო, რომელმაც შარშანდელ კრების აქეთ იმდენს ზაფრა აუშალა და ძილი გაუტეხა, ხოლო ყველაზედ მეტად თვით სკოლას ავნო.

სკოლის სიკეთის გულისათვის გამგეობამ ითხოვა სრულიად არ ელაპარაკნა კრებას ამ საგანზედ. გამგეობის თავის განწირულება იქამდის მივიდა, რომ სარევიზიო კომიტეტის ბრალდება დასთმო, თავის მართლება უარჰყო, ოღონდ მიყუჩებულის სატკივარისათვის ხელი არ ეხლოთ და ხელ-ახლად არ აეშალათ, რაც დაწყნარების და გამრთელების გზას დასდგომია.—მაგრამ არ იქნა, ვერ მოისვენეს იმათ, ვისაც გულში შარშანდელს აქეთ შური ვერ დასცხრომია.

დიდის გულს-მოდგინებით ეცადნენ საქმე ხელ-ახლად და თავიდგანვე გადაექოთებინათ და მიძინებულთ შური გაეღვიძებინათ. ჯერ ერთი მოსაზრება მოიყვანეს, რომ ჭირის დამალვა მავნებელია და, მაშასადამე, სკოლის უწესოება მით უფრო განიკურნება, რაც უფრო საქვეყნოდ გამოცხადდება და რაც უფრო ბევრის სალაპარაკოდ გახდება და არა მარტო გამგეობისაო. ამ საბუთმა რომ ვერ გასჭრა, ახლა ისა სთქვეს, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენება ვითომც ისეთს ბრალსა სდებს გამგეობას და იმდენად შეურაცხჰყოფს, რომ გამგეობამ უსათუოდ თავი უნდა გაიმართლოს და ამ გამართლებაში, რასაკვირველია, საქმის ყველა გარემოება გადმოალაგოს და კრების ბჭობისა და განაჩენის საგნად გახადოსო.

გამგეობამ რომ ყური წაიყრუა და მაინც სკოლის ინტერესს გაიძახდა,—საზოგადოებას მიჰმართეს. საზოგადოებას უფლება აქვს გამგეობას ყველა მის ნამოქმედარის ანგარიში მოსთხოვოს, გასინჯოს და მსჯავრი დასდოსო; საზოგადოებისათვის არავითარი მისი საქმე დაფარული არ უნდა იყოსო; გამგეობამ თუ დღეს ერთი დამალა, ხვალ მეორეს დამალავს, საზოგადოების უფლება-კი თანდათან შემცირდებაო... ეხლა-კი მიჰხვდნენ საწადელს! საზოგადოების უფლების შემცირებაო,—და მერე რომელი საზოგადოების მოღვაწე მოითმენდა მაგ შემცირებას, მეტადრე თუ მოღვაწე უცნობია? რასაკვირველია, თავი გამოიდეს და, ცოტას გასწყდა, გამგეობა არ ალაპარაკეს.

მაგრამ „უსტავმა“ იხსნა კავკავის სკოლა განსაცდელისაგან. წაიკითხეს მე-13 მუხლი და აღმოჩნდა, რომ გამგეობას შეეძლო საზოგადოების ცნობის მოყვარეობა არ დაეკმაყოფილებინა.—კარგია, რომ მე-13 მუხლმა უშველა საქმეს, მაგრამ რომ არ ყოფილიყო, სადამდის მიგვიყვანდა პრინციპი fiat justitia?.. ნეტა, რადა აქვს ზოგს ჩვენს მოღვაწეს თავგასავით დაუცხრომელი სურვილი თხაროს-თხაროს, რომ კატა გამოსთხაროს?..

ქალაქელი.

### „ივერიის“ ფოსტა

**ტ. კ—ლს.** თქვენი წერილი „სასოფლო მეურნეობის გამო“ არ დაიბეჭდება.

ს. მლეთს, **ა. არგანაშვილს.** ერთხელ უკვე დავბეჭდეთ თქვენი მოწოდება. მეორედ და მესამედ დაბეჭდვა მოუხერხებელია.

## დეპეშა

(ჩვენის საკუთარის კორესპონდენტისა)

**ქუთაისი.** პირველს ქართულს წარმოდგენას, ბ-ნ გუნიას თაოსნობით გამართულს, საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება.

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 მაისი.

**ლონდონი.** გრაფ როზბერიმ ლიდსაში წარმოსთქვა აზრი, რომ მშვიდობიანობა ამ დღეებში მოხდება და შეიძლება მხარი დაუჭირონ მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას. ინგლისი ურიგდება არა სრულიად დამარცხებულს მოწინააღმდეგეს და უნდა ეცადოს მამაცი მტერი პატიოსან მეგობრად გარდაჰქმნას. როზბერი ჰკიცხავდა პურის ბაჟის შემოღებასაო.

ედუარდ გრეი ოლნვიკში იცავდა იმ აზრს, რომ სამხრეთ-აფრიკის ახალშენს ფედერატიული წეს-წყობილება უნდა ჰქონდესო.

**ლონდონი.** შანჰაიდგან მოსულის ცნობებით, სე-ჩუანის პროვინციაში თარეშობენ მოკრივენი (ბოქსიორნი); ამათ შეატყობინეს იანგინის მოხელეებს, რომ ყველა უცხოელების გაწყვეტა გვინდაო. კათოლიკებისა და პროტესტანტების ეკკლესიები დაუნგრევიათ; ბევრი გაძარცულია და მოკლული. ჯარები გავიდნენ ამბოხების მოსასპობად.

**პარიჟი.** რუსეთში ყოფნის გამო ლუბემ 220 დამნაშავეს, რომელთაც სასჯელი გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩვეულებრივის დანაშაულობისათვის, ან სრულიად აპატია ან სასჯელი შეუმსუბუქა.

**ბათუმი.** შეგირდის კვახაძისაგან დაჭრილი მასწავლებელი ქალი არნოლდი საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** 18 მაისს გატჩინოს სასახლეში ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგნენ მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის დელეგატები.

19 მაისი.

**ადენი.** ხელი მოაწერეს შეთანხმების ქაღალდს, რომელიც შეეხება ინგლისისა და აბისინიის საზღვრის დადებას სუდანში.

**პეკინი.** უცხოელ ელჩებმა და გენერლებმა მოიწონეს და მცირე ცვლილებით დაამტკიცეს ჩინეთის გენერლების მიერ შედგენილი პირობანი ტიანძინში ჩინეთის მმართველობის აღდგენის შესახებ; გამოირიცხა მხოლოდ ის მუხლი, რომლის ძალით ჩინელებს არ უნდა ჰქონდეთ ტაკუში ერთი სამხედრო გემის მეტი. ეს პირობები დასამტკიცებლად ჩინეთის მთავრობას უნდა წარედგინოს.

**ბერლინი.** სპარსეთის შაჰმა ასე უპასუხა გერმანიის იმპერატორს სადღეგრძელოზე: „მადლობელი ვარ იმისა, რომ შეძლება მომეცა გამეცნო თქვენი უდიდებულესობა. იმედი მაქვს, რომ ჩვეულებრივი კეთილი ურთიერთობა ორსავე სახელმწიფოს შუა ამიერიდგან უფრო განმტკიცდება. ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ ასე გულითადად მიმიღეთ. ვსვამ სადღეგრძელოს იმპერატორისას, დედოფლისას და აგრეთვე გერმანიის მხედრობისას.

**პეტერბურგი.** უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი საზღვარ-გარეთიდგან დაბრუნების შემდეგ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

19 მაისი.

**ბაქო.** აქციზის მოხელე ლუბჩენკო ტროტუარზე მიდიოდა სადამოთი და უხეიროდ შემორაგულ ჭაში ჩავარდა; მას მიეშველა თანამსახური ფურდუევი ამოსაყვანად, მაგრამ ორივენი დაიღუპნენ. ლუბჩენკოს ოჯახი უმწეოდ დარჩა.

**ვარშავა.** ვარშავის კაპიტალისტი-ებრაელნი შუამდგომლობენ ვარშავაში მათის ხარჯით შვიდკლასიან რეალურ სასწავლებლის გახსნას, სადაც 25 პროცენტს ქრისტიანთაც მიიღებენ.

**სოსნოვიცი.** სოსნოვიცის მახლობლად სატურნი-ის ქვა-ნახშირის მაღაროში ასაფეთქებელ ნივთიერებათა მაღაზიაში აფეთქება მოხდა.

**რომი.** „ტრიბუნის“ ცნობებით მენელიკს იტალიისათვის მაღაროთა კონცესიის ნება დაურთავს დანიშნულ ვადამდე. მადნების შესამუშავებლად შესდგა იტალიელთა საზოგადოება.

**მონტელიმარი.** პრეზიდენტი მობრძანდა; მას დიდ-ძალი ხალხი მიეგება.

**პრეტორია.** შტეინი ავადაა; მას სუსტად დაეტა წვეთი. ვერეინიგინგის ბჭობაში მონაწილეობა არ მიუღია და კრიუგერსდორპს წავიდა.

20 მაისი.

**პარიჟი.** პალატის დროებით თავმჯდომარებად ამორჩეულ იქმნენ ეტიენი 298 ხმით და მირის ფორი 281 ხმის უმეტესობით.

**ვლადივასტოკი.** მანჯურიის რკინის გზით სამხრეთ უსურისკენ მიემგზავრება 6000 რუსეთიდგან გადახიზნულნი. სხვანი კიდევ მდინარე ამურზედ მიემგზავრებიან.

**ხაბაროვსკი.** ნაოსნობის გახსნისათანავე აქ მოგროვდა 37000 ჩინელი მუშა, რომელნიც ყველანი სახელმწიფო საქმეზედ მუშაობენ. სოფელ სპასსზში ვლადივასტოკიდგან 230 ვერსის მანძილზედ იმართება ვრცელი სამხედრო სადგომი ჯარებისა ოთხი ათას მილიონ მანეთად ღირებული. სოფელი სპასკის ქალაქად შეცვლას ფიქრობენ. ნაოსნობა მთელს ამურზედ დაიწყო ნიკოლაევსკამდის.

**პარიჟი.** როცა ბურჟუამ თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა, არჩევისთვის მადლობა გამოაცხადა და აღნიშნა კმაყოფილება, რომ ესოდენ სახეირო რესპუბლიკის თავმჯდომარის ლუბეს პეტერბურგში მისვლა, რომელმაც განამტკიცა ორის მეგობარ ერის კავშირი და რომელიც სახსოვრად დარჩება მთლად ქვეყნისთვის. დასასრულ ბურჟუამ მარტინიკის კუნძულზედ დაღუპულთ მიმართ გულითადი მწუხარება წარმოსთქვა და წაიკითხა ასეთი მწუხარების გამომეტყველნი წერილნი მიღებულნი ბუდა-პეშტისა, რომისა, ბუენოს აირესისა, მენტევიდესი და სანტ-იაგოდგან. ჟერო-რიშარის წინადადებისამებრ პალატამ მწუხარება გამოუცხადა მარტინიკზედ მომხდარ უბედურების მსხვერპლთა და ნიშნად საეროვნო ძაძისა სხდომა გადასდო.

**ლონდონი.** ტელეგრამმა კიტჩინერისა 18 მაისის: მორიგების ხელშეკრულებაზედ დღეს საღამოს $10^1/_2$ საათზედ ხელი მოაწერეს მუღრთა ყველა წარმომადგენლებმა, მილნერმა და მმ.

**პარიჟი.** პალატამ 303 ხმით ამოირჩია დროებით თავმჯდომარედ ბურჟუა წინააღმდეგ დებანკლის მიერ მიღებულის 267-სა.

**ლონდონი.** მორიგების ამბავმა დიდი აღტაცებით მიიღო ხალხმა. ლორდ-ბერმა აივნიდგან სიტყვით მიმართა ხალხს.

**ლონდონი.** ქუჩებში მთელი საღამო დიდი მოძრაობა იყო; ხალხი პატრიოტულ სიმღერებს მღეროდა; ეკკლესიებში ზარის რეკა იყო.

**ლონდონი.** 19 მაისს მეფემ მიმართა ერს შემდეგის ეპისტოლეთი: „მეფემ განუსაზღვრელ სიამოვნების გრძნობით მიიღო სასურველი ამბავი სამხრეთ აფრიკაში ომიანობის მოსპობის შესახებ და იმედოვნებს, მშვიდობიანობას უმალ ზედ მოჰყვება კეთილ-დღეობის აღორძინება მის ახალ სამფლობელოში და ომიანობისაგან უნებლიედ გამოწვეულ არა სასურველნი გრძნობანი ადგილს დაუთმობენ სამხრეთ აფრიკაში მეფის ყოველ ქვეშევრდომთა მტკიცე საერთო მოღვაწეობას, მისაღწევად მათის კეთილ-დღეობისა და სასარგებლოდ მათის საერთო სამშობლოსი.

**პეტერბურგის ბირჟა**, 17 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,20 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96^5/_8$ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | $98^3/_4$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 477 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 364 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 294 წვ. გაყ. |
| $4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10600 გაყ. |
| აქციები ,, | $528^1/_2$ |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4650 „ |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 443 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 180 წვ. გაყ. |
| | — |


## განცხადება

### ტფილისის სამარხვო კასაშ

უკვე დაიწყო მოქმედება და ვისაც ჰსურს წევრად ჩაეწეროს, მიჰმართოს გამგეობის წევრს-ხაზინადარს შიო ქუჩუკაშვილს სათავად-აზნაურო ქარვასლაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ერთ-ხნობითი შემოსატანი არის **სამი მანეთი** და **ხუთი შაური**, გარდაცვალებულის ოჯახს-კი მიეცემა შემწეობა **ხუთას მანეთამდის**.

დამფუძნებელ წევრთ, რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, მაისის თვის გასულამდის უნდა შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულ იქნებიან წევრობიდამ. (10—7)

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ამხ. „ცოდნის“ მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები:

№ 1 „ქრისტინე“ მოთხრობა ე. ნინოშვილისა . . „ 20 კ.

« 2 „ბუნების საოცარი მოვლენანი რუბაკინისა . . „ 15 კ.

და ახლად გამოცემული წიგნი

« 3 **ამბები ინგლისის ისტორიიდან** მე-XI საუკუნიდან მე-XIX საუკუნის დამლევამდე ა. ბიკოვისა, თარგმანი კ. ს. ჩხეიძისა, ფასი 1 მ. უმთავრესი საწყობია ქ. ბათუმში სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, რომლის ადრესიც არის შემდეგი: Въ Гор. Батумъ, Спир. Челидзе. ვინც თითო წიგნისას ათ-ათ ცალს დაიბარებს ერთად, დაეთმობა 25%. (6—349—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ მაისის 22 ნაშუადღევის 1 საათზედ მის თანადასწრებით იქნება ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა იჯარით ქალაქის მამული, ზომით 726,3 ოთხ-კუთხი საჟ., რომელიც იმყოფება მე-10 საპოლიციო უბანში, ტფილისის ტამოჟნის პირდაპირ, სადაც ეხლა შეშისა და საშენ მასალის საწყობია ფრანც ამირაღოვისა.

პირობის შეტყობა შეიძლება ყოველ სადღეს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (3—6.—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 22 მაისს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა უსუფთაობსის მილის გამართვა მიხეილის ქუჩაზედ. სიგრძე—60,00 საჟენი, სიგანე—სიმაღლე—0,42×0,28. სამუშაო 1,400 მანეთისაა.

ვისაც ვაჭრობა ჰსურს, იმან უნდა მიჰმართოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებას ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—6.—1)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

## ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა ფასი 10 კ.

და

## მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

**წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

სამწყემსო ამბები ეკ. გაბაშვილისა . „ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. 1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ . . . . „ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა . . . 1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. . „ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა. . „ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა . . . . . „ 50
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი . ,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა ,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . . ,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა ,, 30
აბო ტფილელი, ე. კ. . . . ,, 30
Або Тифлисскій, Е. К. . . ,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ . ,, 60
გიორგი და მიხეილი . . . ,, 10
რ. აბაშიძისა . . . . ,, 60
დ. გაბრუაშვილისა . . . ,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა . ,, 40
მუშათა კითხვა . . . 15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ზ. ჭიჭინაძისა? უონზოშვილისა . . . 1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. . ,, 40
Древній Анчисхатскій соборъ, Карбеловъ . . ,, [illegible]
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა ,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა ,, 30
ხანგი, გ. აბაშიძისა . . . 1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.
Царица Тамара, М. Джанашвили . . . . ,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა ,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა . . . 1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . . . ,, 50
დედა, ანდერსენისა . . . ,, 8
დამონებულნი, თარ. ო. სხოკასი . 1 ,, მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი . . ,, 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К. ,, 10
Давидъ Гареджели, Е. К. . ,, 15
ეტიუდები, ო. ხუსკივაძისა . . ,, 15
ელენე, მოთხრობა . . . ,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили ,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К. . ,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა . ,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ . ,, 3
ამბავი მადლის ქვისა . . . ,, 5
აკიდო სამწყემსო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. ,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . 1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. ბ. გვაზავასი . ,, 40
ბენია. . . . . ,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა . . . . ,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკისა. . . ,, 30
ბუნება სურათებში, ი. აღნიაშვილისა 1 მ. ,, 30
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ. ,, 20
აღმზრდელი, აკაკისა . . . ,, 5
გასართობი . . . . ,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა . ,, 15
გუსტავ ვაზა . . . . ,, 5
პატარა ლორდის თავგადასავალი . ,, 30
პატრა ვეფხვის ტყავსანი. . ,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა ,, 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა . . . 1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. . ,, 60
აერო დღესასწაული . . . ,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари 1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. . 3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К . . . ,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი . 1 მ.
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძისა ,, 40
თამარ-დედოფლის სამკაული . ,, 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა . ,, 50
ისტორია ქართულ სტამბებისა . ,, 15
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა. . ,, 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნაწ. ქუთათელაძისა . ,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი . . . . 1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა . ,, 30
სამწყემსო ამბები, ეკ. გაბაშვილისა. ,, 50
სუმბული, ს. ქვარიანისა. . . ,, 20
ტარტუფი, თარგ. ივ. მაჩაბელისა ,, 50
უკვდავთა დაღდებანი, მ. ჯანაშვილისა ,, 15
მეცნიერებისთვის წამებულნი . 1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева . . . . 1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა ,, 10
ნათელა, აკაკისა . . . ,, 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა ,, 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი . ,, 40
Новая постановка педагогическаго дѣла . . ,, 20
სამი ზღაპ, ან. ფურცელაძისა. . ,, 50
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა. ,, 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა . ,, 10
სახუმარო გასართობი . . ,, 10
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა . . . ,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . ,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა ,, 40
ქეთო და კოტე, სამწყემსო მოთხრობა ,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა ,, 25
კოპერნიკიდან დარვინამდე . ,, 10
კანდელი, მ. ღლონტისა? . ,, 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. 1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели . . . . 30 ,,
კუბოკები ქართულის ანბანისა 1 მ. 20
ლექსები განდეგილის ,, 50
ვედოშვილისა . . ,, 50


Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 мая 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.